მომსახურების ხელშეკრულება.
შემსყიდველი: შპს „გარდაბნის თბოსადგური“

ხელშეკრულება N 60-7-116-799/20-280916-01

ქ.გარდაბანი
28.09 2016 წ.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, ს/კ 204995176, მის: ქ. თბილისი, ნ.ბარათაშვილის ქ.N2, შემდგომში „მიმწოდებელი“, მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე/რეაბილიტაციის მმართველი **სულხან ზუმბურიძე** და **შპს „გარდაბნის თბოსადგური“**, ს/კ, 404428071, მის: ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის N2ბ, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორი **ლაშა მგელაძე** (შემდგომში როგორც „მხარეები“) ვმოქმედებთ რა საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონის) მე-3 მუხლის 1-ი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია „შემსყიდველს“ გაუწიოს დანართი N1-ით (ფასების ცხრილი და მომსახურების გაწევის ვადა) განსაზღვრული მომსახურება ამავე დანართით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, CPV72265000.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით განსაზღვრული დანართი N1 დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.3. მხარეები აცხადებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურება არ მოიცავს ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძის/კვანძების ზედა დონის ესკაა სისტემასთან უშუალოდ დაკავშირებას.

2. მომსახურების საფასური და ანგარიშსწორების პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მთლიანი ღირებულება (შემდგომში „მომსახურების საფასური“) განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად და შეადგენს **444.24** (ოთხას ორმოცდაოთხი ლარი და 24 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2. „შემსყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით განსაზღვრული მომსახურების საფასური „მიმწოდებლისათვის“ უნდა ანაზღაურდეს შემდეგი წესითა და პირობებით:

2.2.1. მომსახურების საფასური გადახდილ უნდა იქნას სრულად ავანსად წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევამდე;

2.2.2. მომსახურების საფასურის ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, „მიმწოდებლის“ სს "საქართველოს ბანკში“ გახსნილ საბანკო ანგარიშზე: GE02BG0000000283534102 თანხის ჩარიცხვის გზით.

2.2.3. თანახმად კანონის 21[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მიმწოდებელს ავანსად გადახდილი თანხის გამოყენების უფლება წარმოეშვება მხოლოდ 1.1 მუხლით

25.08.2016

განსაზღვრული სამუშაოების დასრულების შემდეგ, რაზეც 3.3.5 მუხლის თანახმად გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

2.2.4. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიში გამოიყენება მხოლოდ არსებული ხელშეკრულების 2.2 პირობების შესასრულებლად.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. „მიმწოდებელი” მოვალეა:

3.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის, პირობებისა და ვადების შესაბამისად გაუწიოს „შემსყიდველს” სათანადო მომსახურება დანართი N1-ის შესაბამისად.

3.1.2. გამოასწოროს მიღება-ჩაბარების დროს გამოვლენილი ყველა ის ხარვეზი ან/და შეუსაბამობა, რომელიც გამოწვეულია უშუალოდ თავისი ბრალით. ყველა სხვა შემთხვევაში (მაგ. მიმწოდებლისთვის არასწორი ტექნიკური ინფორმაციის მიწოდება, ობიექტზე არ დაშვება და ა.შ.). ხარვეზების გამოსწორების (მათ შორის დამატებით ჩასატარებელი სამუშაოები) ხარჯებს აანაზღაურებს შემსყიდველი.

3.2. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

3.2.1. არ გასწიოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება მანამ სანამ „შემსყიდველის“ მიერ სრულად არ იქნება ანაზღაურებული მომსახურების საფასური ხელშეკრულების 2.2 პუნქტის შესაბამისად.

3.2.2. „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების 2.2.1. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში ცალმხრივად უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

3.3. „შემსყიდველი” მოვალეა:

3.3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით სრულად და ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში გადაიხადოს გასაწევი მომსახურების საფასური.

3.3.2. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ობიექტზე დაშვება;

3.3.3. შეუქმნას „მიმწოდებელს“ მუშაობის ნორმალური პირობები და ამ კუთხით უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ მოთხოვნების სრულყოფილი და ჯეროვანი შესრულება;

3.3.4. სრულყოფილად მიაწოდოს „მიმწოდებელს“ სამუშაოს ჯეროვანი შესრულებისთვის საჭირო ტექნიკური და სხვა სახის ინფორმაცია;

3.3.5. ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით მიღება-ჩაბარების აქტით მიიღოს შესრულებული სამუშაო.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. „მიმწოდებლის” მიერ სამუშაოების შესრულების ვადა აითვლება შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 პუნქტის შესაბამისად მომსახურების საფასურის გადახდისა და ობიექტზე დაშვების დღიდან.

4.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია წინასწარ წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესასრულებლად ობიექტზე დაშვების შესახებ კონკრეტული თარიღი, ამასთან „შემსყიდველის“ მიერ აღნიშნული შეტყობინება უნდა გაკეთდეს სამუშაოების დაწყებამდე სულ მცირე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე და ამასთან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღისა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

4.3. შესრულების ნებისმიერი შეფერხების შემთხვევაში, რაც გამოწვეულია „შემსყიდველის“ ბრალით (არასწორი ტექნიკური მონაცემების მიწოდება, ობიექტზე დაუშვებლობა, სათანადო სამუშაო პირობების არ არსებობა, ნებისმიერი ის ქმედება ან უმოქმედობა, რაც ხელს უშლის სამუშაოების ნორმალურ მიმდინარეობას) „შემსყიდველს“ დაეკისრება პასუხისმგებლობა ყოველ მოცდენილ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით სათანადო სამუშაო პირობების აღდგენის დღემდე. სამუშაოს შესრულების ნებისმიერი შეფერხების შემთხვევაში, რომლის გამოსწორებაც „შემსყიდველის“ მიერ ვერ ხერხდება ერთი დღის ვადაში, „მიმწოდებლის“ თანამშრომელი ტოვებს სამუშაო ადგილს მანამდე, სანამ „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით არ დაადასტურებს ობიექტზე სათანადო სამუშაო პირობების არსებობას.

4.4. კონკრეტულ ობიექტზე წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის მიზნით „მიმწოდებლის“ წარმომადგენლების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი, ამასთან ასეთი წარმომადგენლების რაოდენობას, რომლებიც ესაჭიროება „მიმწოდებელს“ კონკრეტულ ობიექტზე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად განსაზღვრავს თავად მიმწოდებელი, მაგრამ მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4 (ოთხი) პირს.

4.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება, ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას და ასევე მისი გადახდის ვალდებულებას.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2. ნებისმიერ შეფერხებაზე, რაც გამოწვეული იქნება „შემსყიდველის“ კონტროლით, პასუხისმგებლობა დაეკისრება „შემსყიდველს“, ხოლო სამუშაოს შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი მოცულობის ვადით.

5.3. „მიმწოდებელს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „შემსყიდველის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.4. ნებისმიერ შეფერხებაზე, რაც გამოწვეული იქნება „მიმწოდებლის“ კონტროლით, პასუხისმგებლობა დაეკისრება „მიმწოდებელს“, ხოლო სამუშაოს შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი მოცულობის ვადით.

5.5. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ „ალფა ცენტრის“ სამსახურის უფროსი დავით დვალი.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

6.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს–მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ საქართველოს სავაჭრო–სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7. ურთიერთობა მხარეებს შორის

7.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონით, დეპეშის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით.

7.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

8. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

8.1. ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

8.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

8.2.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში.

8.3. „მიმწოდებელს“ შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

8.3.1. თუ „მიმწოდებლისთვის” ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

8.3.2. ხელშეკრულების 3.2.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

8.3.3. „შემსყიდველის“ გაკოტრების შემთხვევაში;

8.3.4. თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ „შემსყიდველის” მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბია;

8.3.5. შემსყიდველის მიერ ვალდებულების არაერთხელ დარღვევის, ან ვალდებულების ისეთი დარღვევის შემთხვევაში, რომელიც მიმწოდებლის მხრიდან შემსყიდველის მიმართ ქმნის ნდობის დაკარგვის საფუძველს.

8.3.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.4. ამ მუხლის 8.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი” ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს” ფაქტიურად გაწეული მომსახურების საფასური და მიყენებული ზიანი მისი არსებობის შემთხვევაში.

8.5. “მიმწოდებელთან” დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად “შემსყიდველისთვის” იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.5.1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები შეხვდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. დავათა განხილვა

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

11. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

11.1. კონკრეტულ ობიექტზე მომსახურების მიღება ხორციელდება მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

11.2. მიღება-ჩაბარების აქტი ადასტურებს „მიმწოდებლის“ მიერ კონკრეტულ ობიექტზე მომსახურების გაწევის, ხოლო „შემსყიდველის“ მიერ ობიექტზე შესრულებული მომსახურების მიღების ფაქტს.

11.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის. მიღება-ჩაბარების აქტი „მიმწოდებლის“ მხრიდან უნდა გაფორმდეს და გადაეცეს „შემსყიდველს“ სამუშაოების დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო „შემსყიდველმა“ არაუგვიანეს მიღება–ჩაბარების აქტის მიღებიდან 24 კალენდარული საათისა უნდა დაამოწმოს იგი. „შემსყიდველის“ მიერ მიღება-ჩაბარების აქტის, ამ ვადაში გაუფორმებლობის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ ცალმხრივად ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს და გამოწერს სათანადო ანგარიშფაქტურას.

11.4. წინამდებარე ხელშეკრულების 11.3. პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად „მიმწოდებლის“ მიერ ცალმხრივად შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი ითვლება სრული იურიდიული ძალის მქონე აქტად.

11.5. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, „შემსყიდველზე“ გადადის ელ. ენერგიის აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობასთან დაკავშირებული იურიდიული პასუხისმგებლობა, ასევე აღრიცხვის სისტემის გამართულ მდგომარეობაში შენახვის და მოვლა-პატრონობის ვალდებულება.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. გადახდების კუთხით ხელშეკრულება მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებამდე.

13. განსაკუთრებული პირობა

3.1.1 მხარეები აცნობიერებენ და აღიარებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობა შეეხება მხოლოდ იმ კონკრეტულ სამუშაოებს, რაც მოცემულია ხელშეკრულების დანართ N1-ში და იგი შემსყიდველის მიერ არ შეიძლება განხილული, ან გამოყენებული იქნეს როგორც შემსყიდველის აღრიცხვის სისტემის გამართულობაზე „მიმწოდებელისთვის“ პასუხისმგებლობის გადაკისრების საფუძველი. მიმწოდებელი არ იღებს პასუხისმგებლობას შემსყიდველის ობიექტის ზედა დონის ესკაა სისტემასთან დაკავშირებაზე. მიმწოდებელი „შემსყიდველის“ წინაშე პასუხისმგებლობას იღებს მხოლოდ მის მიერ შესრულებულ კონკრეტულ სამუშაოებზე ამ ხელშეკრულების დანართ N1-ში გაწერილი მოცულობის ფარგლებში.

14. ხელშეკრულების სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება განიმარტება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ უნდა მოხდეს მათი გამჟღავნება სხვა მხარისათვის, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„მიმწოდებელი“	„შემსყიდველი“
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“	**შპს „გარდაბნის თბოსადგური“**
ს/კ 204995176 მის: ქ. თბილისი, ზარათაშვილის ქ.N2	ს/კ 404428071 მის: ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის N2ბ
საბანკო რეკვიზიტები: სს “საქართველოს ბანკი“, BAGAGE22 ა/ა GE02BG0000000283534102	
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე /რეაბილიტაციის მმართველი **სულხან ზუმბურიძე** ----------	გენერალური დირექტორი **ლაშა მგელაძე** ----------

მომსახურების ხელშეკრულება N_____.

შემსყიდველი:

დანართი N1

ფასების ცხრილი და მომსახურების გაწევის ვადა

N	ობიექტი	სამუშაოს მოცულობა	მომსახურების გაწევის ვადა	ფასი, დღგ-ს ჩათვლით
			დღე	ლარი
1	„გარდაბნის თბოსადგური“	ელექტროენერგიის 7 (შვიდი) ცალი მრიცხველის პროგრამული ნაწილის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში კონფიგურირება. ელექტროენერგიის აღრიცხვის საკომუნიკაციო წრედის შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში გაწყობა.	1	444.24
	სულ		1	444.24

“მიმწოდებელი”:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”

სულხან ზუმბურიძე

რეაბილიტაციის მმართველი/

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

„შემსყიდველი“:

შპს „გარდაბნის თბოსადგური“

ლაშა მგელაძე

გენერალური დირექტორი